# პანდემია ოკუპაციის პირობებში

## აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საინფორმაციო პლატფორმების გზავნილები

GCSD

# პანდემია ოკუპაციის პირობებში

**[აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საინფორმაციო პლატფორმების გზავნილები]**

ავტორი: მანონ ბოკუჩავა

პროექტი მხარდაჭერილია გაერთიანებული სამეფოს საელჩოს მიერ. კვლევაზე პასუხისმგებელია მისი ავტორი და შინაარსი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც გაერთიანებული სამეფოს საელჩოს პოზიცია და მოსაზრება.

The project is supported by the British Embassy Tbilisi. The content of this document is the sole responsibility of the author and can under no circumstances be regarded as reflecting the position of the Embassy of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland.

ავტორის შესახებ

მანონ ბოკუჩავა მედიაორგანიზაციის „ქვემო ქართლის მედია“ (qvemoqartli.ge) თავმჯდომარეა. მას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მიმართულებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. შემდგომ, სწავლა, ამავე უნივერსიტეტში მასობრივი კომუნიკაციების სადოქტორო პროგრამაზე განაგრძო. მისი გამოცდილება მოიცავს სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში და მედია კომპანიებში მუშაობას. იგი ასევე არის არაერთი პრესტიჟული მედია ჯილდოს მფლობელი.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არა მასთან აფილირებულ რომელიმე ორგანიზაციას ან ინსტიტუტს.

GCSD

British Embassy Tbilisi

# სარჩევი


**შესავალი** ..... 7

**მეთოდოლოგია** ..... 9

**მიგნებები** ..... 10

**რეკომენდაციები** ..... 14

**საინფორმაციო პლატფორმების მიმოხილვა** ..... 16

**სპუტნიკ აფხაზეთი და სპუტნიკ სამხრეთ ოსეთი** ..... 16

Apsua.tv - აფხაზეთის ე.წ სახელმწიფო ტელევიზია ..... 17

GAL TV -გალის რაიონული ტელევიზია ..... 18

IR- სამხრეთ ოსეთის ე.წ სახელმწიფო
ტელე-რადიო კომპანია ..... 19

**აფხაზეთის საინფორმაციო პლატფორმების გზავნილები** ..... 20

**ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საინფორმაციო
პლატფორმების გზავნილები** ..... 37

# შესავალი

შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, წლებია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზესაქართველოკონტროლს ვერ ახორციელებს. დღეისთვის, მოცემულ ტერიტორიებზე დე ფაქტო მთავრობებთან ერთად კონტროლს რუსეთის ფედერაცია ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილად აღიარა,[12] რუსეთმა 2008 წლის 26 აგვისტოს, ოკუპირებული რეგიონები სუვერენულ სახელმწიფოებად გამოაცხადა.[3]

რეგიონების მიმართ ფედერაცია ინტერესს აქტიურად იჩენს სამხედრო თვალსაზრისით. გუდაუთაში #7, ხოლო ცხინვალში #4 სამხედრო ბაზა, წარმოადგენს რუსეთის „სამხრეთ სამხედრო ოლქის“[4] მნიშვენლოვან ნაწილს და ჩართულია ფართომასშტაბიან წვრთნებში. ქართული მხარის გავრცელებული, უახლესი მონაცემებით, საერთო ჯამში ორივე ოკუპირებულ რეგიონში, რუსეთის ფედერაციის 10 000 სამხედრო პირი იმყოფება.[5] სამხედრო მიმართულების გარდა, ოკუპირებული რეგიონების თითქმის ყველა ძირითადი სოციალური სფერო დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციის საბიუჯეტო თანხებზე. [მომავალში, კორონავირუსთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, შესაძლოა, შეარყიოს ფინანსური თანამშრომლობის აღნიშნულიმოდელი].

დიდია რუსეთისა და დე ფაქტო მთავრობების გავლენარეგიონების საინფორმაციო სივრცეზე.არსებული არადემოკრატიული გარემოს გამო, ორივე რეგიონში რთულია პროპაგანდისგან თავისუფალი, ჟურნალისტური სტანდარტებით მომუშავე მედია ორგანიზაციების არსებობა.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს თუ რა ძირითადი გზავნილები შექმნეს და გაავრცელეს ოკუპირებული რეგიონების საინფორმაციო პლატფორმებმა, COVID-19-ის პანდემიის დროს.

საკვლევ მიმართულებებს წარმოადგენს:

- დასვეს თუ არა კრიტიკული კითხვები ადგილობრივი დე ფაქტო მთავრობების მიმართ;
- დახმარების მოლოდინში ყოფნის დროს, რუსეთის ფედერაციის,

1 United Nations, Security Council, Resolution 1808 (2008).

2 Statement by High Representative/Vice-President Federica Mogherini on the signature of a “Treaty on Alliance and Strategic Partnership” between the Russian Federation and Georgia’s breakaway region of Abkhazia, 24.11.2014

3 მედვედევმააფხაზეთისდასამხრეთოსეთისდამოუკიდებლობააღიარა, civil.ge, 26.08.2008.

4 რუსეთისსამხედროძალებისმიმოხილვა, 27.10.2019

5 ციხელაშვილი: აფხაზეთიდაცხინვალისრეგიონიუფროდაუფროგასამხედროებულიხდება, რუსეთისჯარისრაოდენობა 10 000-მდეაგაზრდილი,21.01.2020

როგორც „სტრატეგიული პარტნიორის“ მიმართ, რა კითხვები და კრიტიკული აქცენტები გაკეთდა;

» როგორ შეფასდა საქართველოს მთავრობის დახმარების შეთავაზებები;

» აისახა თუ არა მათ საინფორმაციო სივრცეში კრიტიკული დისკურსი, რომელიც ადგილობრივმა საზოგადოებებმა სოციალურ ქსელებში შექმნეს;

» გააშუქეს თუ არა დახმარება, რომელიც ოკუპირებულმა რეგიონებმა საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო სექტორის და კერძო პირებისგან მიიღეს;

» ასოცირდა თუ არა კორონავირუსთან დაკავშირებული საფრთხე მეტწილად საქართველოსთან, ვიდრე რუსეთთან, სადაც მთელი ამ დროის განვალობაში, ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით მაღალი იყო;

» როგორი პოლიტიკური სახე მიიღო პანდემიამ ოკუპაციის პირობებში.

# მეთოდოლოგია

2020 წლის, თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, განხორციელდა შემდეგი საინ-ფორმაციო პლატფორმების კონტენტის მონიტორინგი:

- » სპუტნიკ აფხაზეთი;
- » სპუტნიკ სამხრეთ ოსეთი;
- » Apsua.tv - აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო ტელევიზია;
- » GAL TV -გალის რაიონული ტელევიზია;
- » IR- სამხრეთ ოსეთის ე.წ სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანია;

დროის მოცემულ პერიოდში, მოხდა კორონავირუსთან დაკავშირებით მათი მომზადებული 317 მასალის შინაარსობრივ-კონტექსტუალური გაანალიზება და ძირითადი გზავნილების გამოკვეთა. იმისთვის, რომ გზავნილები მეტად თვალ-საჩინო იყოს აუდიტორიისთვის, მოხდა რამდენიმე მასალის, მაგალითის სახით, დართვა კვლევითი სტატიისთვის.

# მიგნებები

ოკუპირებულ რეგიონებში, COVID-19-თან დაკავშირებული საკითხების გაშუქებამ, წარმოაჩინა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მიუკერძოებელი მედიის კუთხით არსებული საგანგაშო დანაკლისი. პანდემიის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იყო და არის, კრიტიკული კითხვების დასმა, საზოგადოების სრულფასოვანი ინფორმირება და არსებული პრობლემების საინფორმაციო სივრცეში ასახვა. ამის ნაცვლად, მონიტორინგის პერიოდში, ჩვენი დაკვირვების ობიექტები, მუშაობდნენ მეტ-წილად, როგორც დე ფაქტო უწყებების გზავნილების გამტარები და გამავრცელებლები. აუდიტორიას სისტემატიურად აწვდიდნენ, დე ფაქტო უწყებების და რუსეთის ფედერაციის გავრცელებულ ინფორმაციებს, ისე რომ არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს და არ გამოკვეთდნენ საკითხის განსხვავებულ აქცენტებს. საინფორმაციო სივრცეს არ უთმობდნენ იმ კრიტიკულ დისკურსს, რომელსაც ორივე რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა და სამედიცინო სექტორის წარმომადგენლები[6] ქმნიდნენ სოციალურქსელებში.შესაბამისად, ტრიბუნა არ დაუთმეს მოსახლეობის შიშს, რომელიც ორივე რეგიონში დაბალი ხარისხის ჯანდაცვის სისტემას უკავშირდებოდა. ასევე, არ დასვეს კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ იყო დე ფაქტო მთავრობებისთვის საქართველოს დანარჩენ ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ე.წ საზღვის ჩაკეტვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი, მაშინ როდესაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე აქტიურად შემოდიოდნენ რუსეთის ფედერაციიდან, სადაც საქართველოგან განსხვავებით COVID-19-ით ინფიცირებულთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. აგრეთვე, კრიტიკული კითხვები არ დაისვა იმასთან დაკავშირებით, რომ პენდემიის დროს, რუსეთის ფედერაციის ასობით სამხედრო კვეთდა საზღვარს და ხვდებოდა გუდაუთის #7 და ცხინვალის #4 სამხედრო ბაზებზე. თითოეული ბაზა, თავის მხრივ ქმნის სამხედრო ქალაქს, სადაც ასობით სამოქალაქო პირი იმყოფება, რაც ლოგიკურად ზრდის ინფიცირების საფრთხეს.

პრობლემის სრული სერიოზულობით წარმოჩენის ნაცვლად, თებერვალსა და მარტის თვეში, სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო პლატფორმები, დე ფაქტო უწყებებთან ერთად ავრცელებდნენ გზავნილებს, რომ რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა არ წარმოადგენდა საფრთხეს. აშუქებდნენ არაერთ ასეთ სპორტულ თუ კულტურულ ღონისძიებას და არ სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს,რა საფრთხის მატარებელი შეიძლება ყოფილი მსგავსი ქმედება პანდემიის დროს.

საგანგაშო სახე მიიღო სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სივრცეში დეზ-

6 ცხინვალელმაექიმმასამსახურშიმორიგეობაზეუარითქვა, 03.04.2020

ინფორმაციამ საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატების და ლუგარის ლაბორატორიის შესახებ. სამივე მიმართულებით, განსაკუთრებით მარტსა და აპრილში, განცახდებების სერია გამოაქვეყნა სამხრეთ ოსეთის ე.წ უშიშროების კომიტეტმა. სამწუხაროდ, საინფორმაციო პლატფორმებმა აქტიურად დაუთმეს სივრცე აღნიშნულ განცხადებებს. შემდეგ კი, მათზე დაყრდნობით თავადაც მოამზადეს მასალები, სადაც რუსეთის ფედერაციასთან მჭირდო კავშირში მყოფი ე.წ ექსპერტები და დე ფაქტო უწყებების წარმომადგენლები, მეტად ავითარებდნენ გზავნილს და საზოგადოებას არწმუნებდნენ, რომ საქართველო ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთად ვირუსის არეალის გაფართოებას ცდილობდა.მხოლოდ გამტარის და გამავრცელებლის როლში ყოფნით საინფორმაციო პლატფორმებმა ზიანი მიაყენეს აუდიტორიას - მიაწოდეს ყალბი ინფორმაცია და აქცენტი რეალური პრობლემიდან არარსებულზე გადაიტანეს.

სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო სივრცისგან განსხვავებით, აფხაზეთში საქართველოსგან მტრის ხატის შექმნის, შედარებით ნაკლები მცდელობა გამოიკვეთა. მეტ-წილად ამ რეგიონის მედია მიკერძოებული იყო გალის რაიონთან დაკავშირებული საკითხების მიმართ. წარმოაჩენდა რაიონს და საქართველოს დანარჩენ ნაწილს, როგორც COVID-19-ის გავრცელების მთავარ საფრთხეს. დისკრიმინაციული დამოკიდებულება გალის რაიონის მიმართ, აფხაზეთში კორონავირუსის პირველი შემთხვევისდროსაც გამოჩნდა. დე ფაქტო უწყებებმა და საინფორმაციო პლატფორმებმა ინფიცირებული, ეთნიკურად ქართველი-გალის რაიონში მცხოვრები პირის პერსონალური მონაცემები სრულად გაასაჯაროვეს. ამასთან ერთად, როგორც მოგვიანებით ვნახეთ, COVID-19-ით ინფიცირებულთა სტატისტიკაში, იგი არ შეიყვანეს.

მონიტორინგის პერიოდში, მუდმივად საფრთხესთან ხდებოდა გალისა და ახალგორის ასოცირება,რითაც აუდიტორიას უქმნიდნენ მცდარ შეხედულებას, რომ საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი რუსეთის ფედერაციისგან. მიკერძოებული იყო მათი დამოკიდებულება, პანდემიის დროს რუსეთის ფედერაციის დაწესებული შეზღუდვების გაშუქების კუთხითაც.არ დაისვა კრიტიკული კითხვები ე.წ სტრატეგიული თანამშრომლობის შეთანხმებების არსებობის მიუხედავად, რატომ არ დაუშვა გამონაკლისი რუსეთის ფედრაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის. ასევე მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლების მიერ დახმარებაზე გაკეთებული განცხადებები ფასდებოდა როგორც პოპულიზმი, არ დაისვა კითხვა რატომ არ დაეხმარათ სამედიცინო აპარატურით და პროდუქციით, არა ერთი მიმართვის მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია.

ინფრომაციისთვის, ორივე რეგიონის დე ფაქტო მთავრობებმა დახმარებისთვის, სამედიცინო ნაწარმის კუთხით, მიმართეს რუსეთის ფედერაციას. სასუნთქი აპარატების, მედიკამენტების, სამედიცინი პირდაბადეების და ხელთათმანების ნაცვლად კი რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთში შავის ზღვის ფლოტის რადიაცი-

ულ, ქიმიურ და ბიოლოგიურ საფრთხესთან მებრძოლი დანაყოფიგამოაგზავნა. იყო თუ არა ეს პანდემიისას ადეკვატური დახმარება, ეს კითხვა საინფორმაციო სივრცეში არ დაისვა. ამის ნაცვლად, პლატფორმებმა აქტიურად გააშუქეს, დეზინფექციის პროცესი და შემდეგ უკვე მასში ჩართული სამხედროების, როგორც გმირების მედლებით დაჯილდოება. აქვე უნდა ითქვას, რომ საინფორმაციო თვალსაზრისით მუდმივი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის პროპაგანდისტულ პლატფორმებზე, ტრიბუნას უთმობდა გზავნილებს, რომლებიც აგებული იყო ფაქტებით მანიპულირებაზე.

**ძირითადი გზავნილები - აფხაზეთი**

- » აფხაზეთში ახალი COVID-19-ის შემოღწევის, მთავარი საფრთხე საქართველოდან მოდის;
- » რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთს საფრთხე არ ემუქრება - საზღვარი ფსოუზე კონტროლდება;
- » რესპუბლიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არჩევნები და პოლიტიკური პროცესებია;
- » რუსეთის ფედერაციის დაწესებული შეზღუდვები [აკრძალეს ქვეყნიდან სამედიცინო პროდუქციის გატანა და უცხო ქვეყნის მოქალქეების შემოსვლა], ობიექტური რეალობითაა განპირობებული;
- » აფხაზეთს საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან;
- » გალის რაიონი წარმოადგენს კორონავირუსის გავრცელების მთავარ საფრთხეს;
- » საქართველოს მხრიდან დახმარების შემოთავაზება პოპულიზმია;
- » აფხაზეთი COVID-19-ს საკუთარი ძალებით ეფექტურად ებრძვის;
- » მოსკოვში არსებული აფხაზების დიასპორა, ადგილობრივი მეწარმეები და საქველმოქმედო ჯგუფები გვეხმარებიან;
- » რუსეთის ფედერაცია გვეხმარება;[გზავნილი უკავშირდება, რუსეთის ფედერაციის ბიოლოგიურ საფრთხესთან მებრძოლი დანაყოფის ჩამოსვლას აფხაზეთში. აღნიშნულს, მასალების სერია მოჰყვა აფხაზეთის საინფორმაციო სივრცეში]

**ძირითადი გზავნილები - სამხრეთ ოსეთი**

- » ვირუსის გავრცელების [საუბარი არ არის COVID-19-ზე. გულისხმობენ ჩვენთვის გაურკვეველ ვირუსს, რომელიც სამხრეთ ოსეთში დეკემბერში გავრცელდა] შემთხვევებმა იკლო;
- » მაღალია კორონავირუსის საქართველოდან შემოღწევის საფრთხე;

» რუსეთის ფედერაცია, კორონავირუსის გავრცელების მხრივ, საფრთხეს არ წარმოადგენს;
» კორონავირუსის გავრცლების მთავარი საფრთხე საქართველოდან მოდის - დახმარების შემოთავაზებები პოპულიზმია; [მსგავსი გზავნილების წყარო მეტ-წილად სამხრეთ ოსეთის ე.წ უშიშროების კომიტეტი და რუსეთის ფედრაციასთან მჭირდოდ დაკავშირებული პირები იყვნენ.]
» რუსეთის ფედერაციის მიერ დაწესებული შეზღუდვები ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული - ფედერაცია „სტრატეგიულ პარტნიორს“ დაეხმარება;
» ხელისუფლება ეფექტურად მუშაობს კორონავირუსის გავრცელების წინააღმდეგ;
» საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები მიზანმიმართულად ცდილობენსამხრეთ ოსეთში COVID-19-ის გავრცელებას;[მსგავსი გზავნილების წყარო მეტ-წილად სამხრეთ ოსეთის ე.წ უშიშროების კომიტეტი და რუსეთის ფედრაციასთან მჭირდოდ დაკავშირებული პირები იყვნენ.]

მონიტორინგის პერიოდში, გამოიკვეთა რომ ოკუპირებულ რეგიონებში საინფორმაციო პლატფორმებმა ვერ შეძლეს მედიის, როგორც მაკონტროლებლის როლის შესრულება. შესაბამისად, ვერ მოხდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხების სრულფასოვანი გაშუქება. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გარემოება ვერ იქნება განპირობებეული მხოლოდ პროფესიონალიზმის თვალსაზრისით არსებული სირთულეებით. ოკუპირებულ რეგიონებში არსებული არადემოკრატიული გარემო ქმნის დაბრკოლებასჟურნალისტებისადა სამოქალაქო აქტივისტებისთვის. აღნიშნული გზას უკეტავს კრიტიკულ კითხვებს და შეფასებებს, რაც ზრდის პანდემიასთან დაკავშირებულ საფრთხეს და აზიანებს ორივე რეგიონის მოსახლეობას.

# რეკომენდაციები

*საერთაშორისო ორგანიზაციებს*

» პანდემიასთან დაკავშირებულმა ვითარებამ, კიდევ ერთხელ აჩვენა, ოკუპირებულ რეგიონებში, ჟურნალისტური სტანდარტებით მომუშავე მედიის არსებობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესში ჩართულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ რეგიონებში მაღალი სტანდარტებით მომუშავე მედია აქტორების შექმნას და გაძლიერებას.

» საჭიროა მუშაობა ამჟამად უკვე მოქმედ საინფორმაციო პლატფორმებთან [რაიონულ დონეზე არსებულ მაუწყებლებთან] - მათთვის დამოუკიდებელი ფინანსური წყაროების შექმნისა და ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით.

» აგრეთვე, აუცილებელია აქტიური მხარდაჭერა იმ პირების, რომლებიც კრიტიკული აზრის გამოხატვის გამო იდევნებიან ოკუპირებულ რეგიონებში.[7]

» მნიშვნელოვანია იმ მედია რესურსების მხარდაჭერაც, რომლებიც აქტიურად ამზადებს კონტენტს ოკუპირებული რეგიონების შესახებ. აუცილებელია მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, შეინარჩუნონ და გააფართოვონ საინფორმაციო შესაძლებლობები: თარგმნონ კონტენტი და უახლესი ციფრული მეთოდების გამოყენებით, აქტიურად გაავრცელონ მიუკერძოებელი ინფორმაცია ოკუპირებულ რეგიონებში.

*საქართველოს მთავრობას*

» მნიშვნელოვანია ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დახმარებისკენ მიმართული განცხადებები არ იყოს ზოგადი ხასიათის. გაკეთებულმა ზოგადმა განცხადებებმა ხელი შეუწყეს ოკუპირებულ რეგიონებში პროპაგანდისტული გზავნილის გაძლიერებას. კერძოდ, ამ მიმართულების გზავნილი ავითარებდა აზრს, რომ დახმარების შემოთავაზებები იყო პოპულიზმი და მათ უკან არაფერი იდგა.

» საჭიროა მეტ-ნაკლებად მაინც მოხდეს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები საზოგადოების ინფორმირება იმ მხარდაჭერაზე, რომელსაც ჯანდაცვის კუთხით იღებენ. ინფორმაციის ფორმირება უნდა მოხდეს გაწეული დახმარების შესახებ კონკრეტული ციფრების გაჟღერებით.

7 თამარმეარაყიშვილისსაქმეხელახალგანხილვაშიდააბრუნეს, 17.01.2020

» მნიშვნელოვანია საქართველოს მთავრობამ მეტი აქცენტი გააკეთოს ახალგორსა და გალის რაიონზე, რადგან იკვეთება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული დისკრიმინაციული დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია საკითხი მუდმივად იყოს საერთაშორისო შეხვედრების დღის წესრიგში და მთავრობამ ყველა ტრიბუნა გამოიყენოს, ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

» საქართველოს მთავრობამ აუცილებელია გააკეთოს მკაფიო განცხადებები ოკუპირებულ რეგიონებში COVID 19-ის გავრცელების ძირითად წყაროებზე. მათ შორის,მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს რუსეთის ფედერაციის უკანონო სამხედრო ბაზებზე, სადაც მოსახვედრად უწყვეტი რეჟიმით ასობით სამხედრო მოსამსახურე კვეთს ე.წ საზღვრებს ოკუპირებულ რეგიონებთან.

» აუცილებელია მთავრობამ სამედიცინო კუთხით რეგიონების დახმარებისთვის იმუშაოს ახალ, მეტად ოპერატიულ ფორმატებზე. COVID 19-ით ინფიცირების შემთხვევები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში იზრდება და არსებული თანამშრომლობის მოდელი ახალ გამოწვევას ვერ პასუხობს.

## სპუტნიკ აფხაზეთი და სპუტნიკ სამხრეთ ოსეთი

2013 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ახალი სამთავრობო საინფორმაციო პლატფორმის ჩამოყალიბებას.[8] კონგლომერატის შექმნის მიზნად დასახელდა: "provide information on Russian state policy and Russian life and society for audiences abroad."[9] დღეს აღნიშნული პლატფორმა, რომელიც წარმოდგენილია საინფორმაციო პორტალებით და რადიოებით, ცნობილია „სპუტნიკის" სახელით და მაუწყებლობს ათობით ქვეყანაში, როგორც რუსულ, ასევე ადგილობრივი მოსახლეობების მშობლიურ ენაზე. პლატფორმა,როგორც საერთაშორისო მედიის ასევე, კვლევითი ორგანიზაციების მიერ აღიარებულია რუსეთის ხელისუფლების საგარეო პროპაგანდის ყველაზე მასშტაბურ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ იარაღად.[10][11][12][13][14][15]

სპუტნიკს სამი ბიურო აქვს საქართველოში: სპუტნიკ საქართველო, სპუტნიკ აფხაზეთი და სპუტნიკ სამხრეთ ოსეთი. მათი სარედაქციო პოლიტიკა არ ეყრდნობა ჟურნალისტიკის საერთაშორსო სტანდარტებს და წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის საინფორმაციო მხარდამჭერს. აღნიშნული პლატფორმებისთვის არ არის დამახიათებელი კრიტიკული კითხვები, დისკუსიები - რაც შედეგად ქმნის სივრცეს, რომელიც აუდიტორიას სთავაზობს გზავნილებს, რომელსაც რუსეთის ფედერაცია და დე ფაქტო მთავრობები ქმნიან.

ორივე რეგიონის შემთხვევაში ადგილი აქვს, სხვა ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ სპუტნიკის მასალების სისტემატიურ ციტირებასან მასალების სრულად კოპირებას.

საინფორმაციო პლატფორმა დისკურსის მცირე სივრცეს ქმნის მხოლოდ აფხ-

8 Pizzi, Michael (9 December 2013). "Putin dissolves RIA Novosti news agency". Al Jazeera America. Retrieved 14 December 2019.

9 Myers, Steven Lee (9 December 2013). "With No Notice, Putin Scraps Kremlin News Agencies". The New York Times. Retrieved 9 December 2013.

10 Groll, Elias (10 November 2014). "Kremlin's 'Sputnik' Newswire Is the BuzzFeed of Propaganda". Foreign Policy. Retrieved 26 February 2020.

11 Nimmo, Ben (January 2016). "Sputnik. Propaganda in a New Orbit: Information Warfare Initiative Paper No. 2". Center for European Policy Analysis (CEPA). Retrieved 14 December 2019.

12 "Report: Russia spread fake news and disinformation in Sweden - Radio Sweden". Radio Sveriges. 9 January 2017. Retrieved 14 December 2019.

13 MacFarquhar, Neil (28 August 2016). "A Powerful Russian Weapon: The Spread of False Stories". The New York Times. Retrieved 14 December 2019.

14 O'Sullivan, Donie (17 January 2019). "Facebook takes down anti-NATO pages linked to Russian news agency Sputnik". CNN Business. Retrieved 25 February 2020.

15 Feinberg, Andrew. "My Life at a Russian Propaganda Network". Politico. Retrieved 24 August 2017.

აზეთის ბიუროს ვებგვერზდე, სადაც „ტრიბუნას“ მეტ-ნაკლებად მაინც უთმობს ოპოზიციური განწყობების პირებს. „ობიექტურობის“ ეს მცირე ხარისხი არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლებასთან და აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ. არც სპუტნიკ აფხაზეთი და არც სპუტნიკ სამხრეთ ოსეთი, არ უთმობს ყურადღებას რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ქართველების პრობლემებს.

ორივე საინფორმაციო პლატფორმა რჩება ოკუპირებულ რეგიონებში მედიისთვის მთავარი ტენდენციების განმსაზღვრელად, რაც პრობლემური მოცემულობაა.

## Apsua.tv - აფხაზეთის ე.წ სახელმწიფო ტელევიზია

Apsua.tv მაუწყებლობს აფხაზურ და რუსულ ენებზე. ტელევიზია გარდა საკუთარი სიუჟეტებისა, საეთერო დროს უთმობს გალის რაიონული ტელევიზიის GAL TV-ის სიუჟეტებს. თუმცა არ გამოირჩევა გალის რაიონის მიმართ მედიური ინტერესით და თავად აქტიურად არ მუშაობს რაიონის პრობლემების წარმოჩენისთვის. ტელევიზია მეტ-წილად, ატარებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პოლიტიკას, თუმცა სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო პლატფორმებისგან განსხვავებით, ნაწილობრივ მაინც უთმობს ტრიბუნას,ე.წ მთავრობის ოპონენტებს. ასეთი, მიდგომები არ ვრცელდებასაქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებზე და ეთნიკურ ქართველებზე. საინფორმაციო პლატფორმამ, კორონავირუსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების დროს, ჟურნალისტური ხასიათის მასალები ვერ მოამზადა ისეთ მნიშვნელოვან აქცენტებზე, როგორიცაა: რატომ არ ჩაიკეტა დროულად რუსეთის ფედერაციასთან დამაკავშირებელი ე.წ საზღვარი; რატომ არ თვლის „მთავრობა“COVID 19-ით ინფიცირების პირველ შემთხვევად, გალში მცხოვრები ეთნიკური ქალის დაინფიცირების ფაქტს; ასევე, საინფორმაციო პლატფორმამ არ გაავრცელა ინფორმაცია აფხაზეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე სამკურნალოდ, დროის აღნიშნულ პერიოდში, გადმოსულ ათობით მოქალაქეზე. ტელევიზიის ეთერში ვერ მოხვდა საქართველოს სამოქალაქო სექტორის და კერძო პირების მიერ, აფხაზეთში მცხოვრებთათვის, გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციები.

Apsua.tv არ გამოეხმაურა საზოგადოების ნაწილის მიერ, ეთნიკურად ქართველი პაციენტის დაინფიცირების გამო დაწყებულ დისკრიმინაციულ კამპანიას. ტელევიზიამ მომხდარი არ შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა. ამის ნაცვლად თავადაც დაარღვია ინფიცირებული პირის უფლებები და გამოქვეყნა მისი პერსონალური მონაცემები. Apsua.tv არ ამზადებდა მამხილებელ მასალებს დე ფაქტო მთავრობის მიმართ, ასევე არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს, თუ რატომ დააწესა რუსეთის ფედერაციამ, აფხაზეთთან „სტარტეგიული პარტ-

ნიორობის“ მიუხედავად, ისეთივე შეზღუდვები მათთვის, როგორც სხვა სუბიექტების მიმართ. აგრეთვე, ვერ გაშალა დისკუსია იმის თაობაზე, რომ არა ერთი მიმართვის მიუხედავად, აფხაზეთმა სამედიცინო დახმარება ვერ მიიღო რუსეთის ფედერაციისგან.


ГАЛ ТВ

"Районное Галское телевидение" освещает все события в районе, показывает жизнь галцев , рассказывает о культурных событиях и не только. Приятно, что вы с нами друзья, что смотрите, обсуждаете, копируете наши материалы. Все наши репортажи о вас и для вас. Мы стараемся быть актуальными, объективными и оперативными! Дорогие жители Галского района, давайте интервью, будьте открыты, поднимайте вопросы, которые волнуют, всё возможное обязательно решит руководство района, а что невозможно изменить, значит на то существуют объективные причины о которых скажут... Процветания Абхазии, нашему району, повышения уровня жизни, лучшей доли каждому из нас, особенно тем, кто старается преобразить свой край и делает всё возможное и невозможное для этого. Смотрите нас, активно выражайте свою позицию меняйте жизнь к лучшему, всё в наших руках. Всех благ!

მსგავის მუშაობა შესაძლოა განაპირობა ტელევიზიის ფინანსურმა დამოკიდებულებამ დე ფაქტო მთავრობის მიმართ და აფხაზეთში არსებულმა არადემოკრატიულმა გარემომ.

## GAL TV -გალის რაიონული ტელევიზია

GAL TV მუშაობს ოკუპირებულ გალის რაიონში, მოუწყებლობს რუსულ ენაზე. ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვება იწყება მისალმებით აფხაზურ,რუსულ და მეგრულ ენებზე.სიუჟტების ეხება რაიონში დე ფაქტო მთავრობის მიერ შესრულებულ სამუშაოებს. არ ისმის კრიტიკული კითხვები, როგორც ე.წ ადგილობრივი ასევე ცენტრალურიხელისუფლების მიმართ - მიუხედავად იმისა, რომ გალში მცხოვრები ადამიანები არა ერთი პრობლემის წინაშე არიან.[16]

აქვე, აღნიშნული, შესაძლოა, განაპირობა ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო-თავისუფალი გარემოს არ არსებობამ.

GAL TV რიგ შემთხვევებში ეწევა ღია მხარდაჭერას დე ფაქტო რეჟიმის გადაწყვეტილების მიმართ, რაც სიუჟეტებში ჟურნალისტების შეფასებებითაც იკეთება. ტელევიზია, სოციალური ქსელში, თავისი ოფიციალური გვერდის წარდგენის ნაწილში წერს:

„გალის რაიონის ძვირფასო მაცხოვრებლებო, გთხოვთ, მოგვეცით ინტერვიუები, იყავით გახსნილები, წამოჭერით საკითხები, რომელიც თქვენ გაღელვებთ, რაც შესაძლებელია ყველაფერს მოაგვარებს რაიონის ხელმძღვანელობა, ხოლო რისი შეცვლაც შეუძლებელია ე.ი არსებობს ამისი ობიექტური მიზეზები, რომელთა შესახებაც გეტყვიან...“[17]

16 თავისუფალიგადაადგილებისუფლებისშეზღუდვააფხაზეთსადაცხინვალისრეგიონში/სამხრეთოსეთში, 2019, http://www.democracyresearch.org/files/27DRI_Report_Geo.pdf

17 GALTV, “Дорогие жители Галского района, давайте интервью, будьте открыты, поднимайте вопросы, которые волнуют, всё возможное обязательно решит руководство района, а что невозможно изменить, значит на то существуют объективные причины о которых скажут...”https://www.facebook.com/pg/GalTv.rgt/about/?ref=page_internal

უნდა აღინიშნოს, რომ ტელევიზიის ოფიციალურ გვერდზე,სოციალურ ქსელში, მაყურებელთა ათობით კრიტიკული კომენტარი იწერება [სამწუხაროდ, ტელევიზია მათ ნაწილს აქტიურად შლის]. მაყურებლები სვამენ კითხვებს: კორონავირუსთან დაკავშირებით რატომ ჩაიკეტა მხოლოდ ენგურის ხიდი და რატომ არა ფსოუ-ც? საჭიროების შემთხვევაში, სამკურნალოდ როგორ გადავიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე? რატომ აქვთ მუდმივად გადაადგილების პრობლემა?! რატომ არ აქვთ განათლების ქართულ ენაზე მიღების შესაძლებლობა?! GAL TV ამ ეტაპზე არ/ვერ მუშაობს ამ თემებზე და ჟურნალისტურ პროდუქტს ვერ სთავაზობს თავის მაყურებელს.

აუდიტორიის კომენატრებიდან იკვეთება კრიტიკა ტელევიზიის მიმართ. ერთის მხრივ, ტელევიზიის კოლექტივი განიცდის საზოგადოების ნაწილის კრიტიკას, რომელიც მათ მოღალატეებს უწოდებს, რადგან სიუჟეტებში აფხაზეთი სახელმწიფოდ არის მოხსენიებული - საქართველო კი მეზობელ ქვეყნად. მეორე მხრივ, მათ მიმართ კრიტიკა სხვა ეთნიკურ ჯგუფებსაც აქვთ. ყოველივე ამის ფონზე, ცხადია, არ არის ადვილი აღნიშნული ტელევიზიისთვის მუშაობა. აქვე, უნდა აღნიშნოს, რომ სამწუხაროდ, ტელევიზიის მომზადებული მასალები არ არის, როგორც შინაარსობრივი ასევე ტექნიკური თვალსაზრისით,მაღალი ჟურნალისტური სტანდარტებით მომზადებული.

შედეგად, გალის რაიონში არის ტელევიზია, რომელიც აქტიურად გამოხატავს არა ადგილობრივი მოსახლეობის აზრს, არამედ დე ფაქტო მთავრობის პოზიციას და მიჰყვება გენერალურ ხაზს, რომელიც მიღებული და დაშვებულია აფხაზეთში.

### IR- სამხრეთ ოსეთის ე.წ სახელმწიფო ტელე-რადიო კომპანია

ტელე-რადიო კომპანია IR მუშაობს რუსულ და ოსურ ენებზე. ტელევიზია აქტიურად აშუქებს დე ფაქტო ხელისუფლების საქმიანობას. სატელევიზიო ეთერი მეტ-წილად ეთმობა ე.წ მთავრობის შესრულებულ სამუშაოებს- ნაკლებია აქცენტი არსებულ გამოწვევებზე. IR-მა არ დასვა კრიტიკული კითხვები პანდემიასთან დაკავშირებით, ასევე არ იყო სენსიტიური ახალგორში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების მიმართ. ტელევიზიის სარედაქციო მასალებში ვერ ვხვდებით პანდემიის დროს წარმოქმნილ სხვა კრიტიკულ აქცენტებზე ყურადღების გამახვილებას. აღნიშნული პლატფორმა იყო სამხრეთ ოსეთის ე.წ უშიშროების სამსახურის განცხადებების, ყოველგვარი კრიტიკული კითხვების გარეშე გამავრცელებელი. IR მედია საშუალებაზე მეტად, დე ფაქტო მთავრობის საინფორმაცია მხარდამჭერის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

[თებერვალი]

#1 გზავნილი

**აფხაზეთში,COVID 19-ის შემოღწევის მთავარი საფრთხე საქართველოდან მოდის**

თებერვალში,ახალი კორონავირუსი არ იყო დღის მთავარი თემა იმ საინფორმაციო პლატფორმებისთვის, რომელთაც ჩვენ ოკუპირებულ აფხაზეთში ვაკვირდებოდით. მასალების მცირე ნაწილი, რომელიც ამ საკითხზე მომზადა, რესპუბლიკისთვის მთავარ საფრთხედ საქართველოს ასახელებდა და წერდა ამკრძალავ ზომებზე, რომელიც „ენგურის ხიდთან“ არსებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მიიღეს. ეხებოდა ეს, როგორც ე.წ საზღვრის დაკეტვას, ასევე ადგილზე არსებულ სპეციალურ სამედიცინო კონტროლს.

მიუხედავად იმისა, რომ თებერვლის ბოლოს, ცნობილი გახდა კორონავირუსით რუსეთის ფედერაციაში მოქალაქეთა ინფიცირების შესახებ,[1819] აღნიშნულ ქვეყანასთან ე.წ საზღვრის ჩაკეტვის საჭიროება, როგორც მსჯელობის საგანი, არც მედიას და არც დე ფაქტო უწყებებს, საჯაროდ არ უხსენებიათ.შეგახსენებთ, რომ საქართველოში ინფიცირებული პირველი ფაქტი 26 თებერვალს გამოავლინეს.[20]




„ენგურის ხიდის“ საქართველოს კონტროლს მიღმა არსებული მონაკვეთი. კადრი გალის რაიონული ტელევიზიის GAL TV -ს სიუჟეტიდან.[21]

Apsua.tv-მ ე.წ საქართველო-აფხაზეთის საზღვრის კონტროლზე გაამახვილა ყურადღება. ტელე-რადიო კომპანია, ამავე სიუჟეტში[22] ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე არსებულ მდგომარეობაზეც საუბრობდა. მედია არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს, რატომ რჩება „საზღვარი“ რუსეთის ფედერაციისთან ღია, მაშინ როდესაც COVID 19-ით ინფიცირებული პაციენტები რუსეთსაც ჰყავდა.

18 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, ანგარიში: თებერვალი, 2020 წ https://www.who.int/docs/default-source/coronaviruse/situation-reports/20200229-sitrep-40-covid-19.pdf?sfvrsn=849d0665_2.

19 შენიშნვა: რუსეთის ფედერაციამ მონაცემები, 29 დღის დაგვიანებით, მიაწოდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას. არა ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია იუწყება, რუსეთის მიერ, დაინფიცირებულთა შესახებ, ზუსტი სტატისტიკის დამალვაზე.

20 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და ნდევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა დასოციალური დაცვის სამინისტრო, https://www.moh.gov.ge/news/4974/

21 КОРОНАВИРУСА НЕТ. ГОСГРАНИЦА ПОД КОНТРОЛЕМ, GALTV, 8 თებერვალი, , https://www.facebook.com/watch/?v=597180824470339

22 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара, 11.02.2020 http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17418

„ენგურის ხიდი“ - საქართველოს კონტროლს მიღმა არსებული ტერიტორია. sputnik –abkhazia წერს,[23] რომ ამოწმებენ საქართველოდან შემოსულ ყველა მოქალაქეს, რათა არ მოხდეს ვირუსის გავრცელება აფხაზეთში.

ენგურის ხიდის საკონტროლო-გამშვები პუნქტი, საქართველოს კონტროლს მიღმა არსებული ტერიტორია. sputnik-abkazia[24] წერს, რომ დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოში COVID 19-ით დაინფიცირების პირველი შემთხვევის გამო, „საზღვარი“ ჩაკეტეს.

#2 გზავნილი

**საზღვარი ფსოუზე - რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთს საფრთხე არ ემუქრება**

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციაში თებერვლის თვეს უკვე იყო, ოფიციალურად გაჟღერებული, კორონავირუსით ინფიცირების ორი შემთხვევა, საინფორმაციო პლატფორმებზე არ გამართულა დისკუსიები იმის თაობაზე, თუ რატომ არ იკეტება ან რატომ არ კონტროლდება სამედიცინო თვალსაზრისით ე.წ საზღვარის ფსოუს მონაკვეთი, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთს და რუსეთის ფედერაციას აკავშირებს. ამ დისკურსის ნაცვლად, აქცენტი გაკეთდა დე ფაქტო უწყებების დაწესებულ შეზღუდვაზე, რომელიც აფხაზეთში შემოსვლას უკრძალავადა ტაჯიკეთის, უზბეკეთის, კორეის, ჩინეთისა და ყირგიზეთის მოქალაქეებს.

23 Обследуют всех: абхазские медики выявили заболевших гриппом на границе с Грузией 03.02.2020 https://sputnik-abkhazia.ru/society/20200203/1029378034/Obsleduyut-vsekh-abkhazskie-medikivyyavili-zabolevshikh-grippom-na-granitse-s-Gruziey.html

24 Минздрав: границу с Грузией закроют из-за коронавируса, 27.02.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200227/1029536417/Minzdrav-granitsu-s-Gruziey-zakroyut-iz-za-koronavirusa.html

Apsua.tv-ს სიუჟეტი ფსოუზე დაწესებულ შეზღუდვებზე, რომელიც აფხაზეთში შემოსვლას ტაჯიკეთის, უზბეკეთის, კორეის, ჩინეთისა და ყირგიზეთის მოქალაქეებს უკრძალავას.[25]

Sputnik-abkhazia-ს მორიგ მასალაში უკვე საუბარია, რომ ფსოუზე დაწესდება სამედიცინო კონტრილი და ამისთვის დე ფაქტო უწყებები საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავენ.[26]

Sputnik-abkhazia-ს აღნიშნული მასალაც ეხება დე ფაქტო უწყებების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს. კერძოდ აფხაზეთში შემოსვლას ტაჯიკეთის, უზბეკეთის, კორეის, ჩინეთისა და ყირგიზეთის მოქალაქეებს, დროებით, აუკრძალეს.[27]

### #3 გზავნილი

### აფხაზეთი ჩვეული რეჟიმით აგრძელებს ცხოვრებას

22 მარტს ოკუპირებულ აფხაზეთში ე.წ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. შესაბამისად, ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისთვის თებერვალი და მარტი გახლდათ წინსაარჩევნო პერიოდი, რომელსაც თან ახლდა ხალხმრავალი ღონისძიებები. გარდა პოლიტიკური ხასიათის აქტიურობისა,ადგილობრივები ჩვეული რიტმით აგრძელებდნენ ცხოვრებას - ტარდებოდა სპექტაკლების პრემიერები, კონფერენციები და სპორტული ღონისძიებები.

25 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара, 11.02.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17418

26 Пограничный карантин: кого коснется запрет на въезд в Абхазию, 26.02.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200226/1029529502/Pogranichnyy-karantin-kogo-kosnetsya-zapret-na-vezd-v-Abkhaziyu.html

27 Названы страны, гражданам которых ограничили въезд в Абхазию, 05.02.2020, https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200205/1029396764/Nazvany-strany-grazhdanam-kotorykh-ogranichili-vezd-v-Abkhaziyu.html

Apsua.tv-s სიუჟეტი, ვეტერანების შეკრება.[28]




ხალხმრავალი ღონისძიებით მიაგეს პატივი, პოეტი დიმიტრი გულიას ხსოვნას. კადრი Apsua.tv-ის სიუჟეტიდან.[29]




კონფერენცია. კადრი Apsua.tv-ის სიუჟეტიდან.[30]




კადრები Apsua.tv-ს სიუჟეტიდან. სპექტაკლის პრემიერა.[31]

**[მარტი]**

საინფორმაციო პლატფორმებისთვის დღის წესრიგის მთავარი თემა იყო ე.წ საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ოკუპირებულ აფხაზეთში 22 მარტს ჩატარდა. მხოლოდ მარტის ბოლოს დაიწყო, როგორც მედიამ ასევე დე ფაქტო უწყებებმა და სამედიცინო საზოგადოებამ, საუბარი COVID 19-ის მზარდ საფრთხეზე. გაკეთდა აქცენტები იმაზეც, რომ წინასაარჩევნი პროცესის და უშუალოდ არჩევნების დღესაც - ვერ მოხერხდა ვირუსისგან თავის დაცვის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება. მოცემულ პერიოდში, კორონავირუსთან დაკავშირებით, გაჟღერებულ ინფორმაციაში აქცენტი გალის რაიონზე გაკეთდა, რითაც აუდიტორიას შეუქმნეს წარმოდგენა, რომ საფრთხის ძირითად წყაროს საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორია წარმოადგენდა. საზღვრის ფსოუს მონაკვეთი კი, წარმოჩენილი იყო მეტ-წილად, როგორც დაცული და სამედიცინო თვალსაზრისითაც კონტროლირებადი ტერიტორია.

საინფორმაციო პლატფორმებმა, ყურადღება არ გაამხვილეს, მარტის ბოლოს,

28 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара, 07.02.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17461

29 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара, 21.02.2020 http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17493

30 Абхазская общенациональная конференция в АГУ, 07.02.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17399

31 Премьера «Оскар» 06.02.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17391

სოციალური ქსელებით გავრცელებულ კადრებზე, რომელთა კომენტირებისას გამავრცელები პირი აცხადებდა, რომ ეს იყო მანქანების კოლონა, რომელიც ფსოუს გავლით აფხაზეთში შემოდიოდა. აღნიშნულმა ვიდეომ გამოიწვია მღელვარება ადგილობრივი საზოგადოების ნაწილში და საკითხს არა ერთი კრიტიკული კომენტარი მოჰყვა, იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო საზღვრის რუსეთის მონაკვეთის ჩაკეტვა.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთში შესვლა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, მხოლოდ 28 მარტიდან აეკრძალათ 20 აპრილამდე, თუმცა აკრძალვა არ გავრცელდა დიპლომატიურ კორპუსზე და გუდაუთის სამხედრო ბაზის მოსამსახურეებზე. აღნიშნულ სამხედრო ობიექტზე, რომელიც წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის #7 სამხედრო ბაზას, 4000 მდე სამხედრო იმყოფება.

აღნიშნული კადრები მარტის ბოლოს გავრცელდა აფხაზეთში. ითქვა, რომ კადრებში ასახულია ფსოუს „სასაზღვრო მონაკვეთი“ რომელსაც რუსეთიდან მომავალი მანქანების კოლონა კვეთს. საკითხს ადგილობრივ საზოგადოებაში შიში და მღელვარება მოჰყვა. სოციალური ქსელების მომხმარებლები წერდნენ, რომ ამით რუსეთიდან COVID 19-ის შემოტანის საფრთხე გაიზარდა.[32]

საქართველოს მიმართ პროპაგანდისტული გზავნილები კი აღნიშნული საინფორმაციო პლატფომებით ვრცელდება, უშუალოდ რუსეთის ფედერაციასთან პირდაპირი-მჭიდო კავშირის მქონე პირების - დუმის დეპუტატების, პრორუსი ექსპერტების მიერ.

მარტის მეორე ნახევარში კი, საზოგადოებას ამცნობენ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარების შესახებ. კრიტიკული გზავნილები არ ისმის რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომელიც აფხაზეთში სახელდება, როგორც ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი და შესაბამისად, მისგან დახმარების მოლოდინი დიდია. კითხვები არ იმის იმის შესახებ, თუ რატომ აკრძალა ყველა სახის სამედიცინო ნაწარმის გატანა რუსეთის ფედერაციამ ისე, რომ არ გაითვალისწინა აფხაზეთის მდგომარეობა. ასევე, კრიტიკული გზავნილები არ ისმის, თუ რატომ ჩაკეტა ფედერაციამ საზღვარი აფხაზეთის მოქალაქეებისთვისაც, მაშინ, როდესაც ე.წ სტარტეგიული თანამშრომლობის შეთანხმება აქვს დადებული დარესპუბლიკას ყოველმხირვ მხარდაჭერას პირდებოდა.

---

32 სოციალური ქსელებით გავრცებული ვიდეო, სადაც ჩანს მანქანბეის კოლონა, რომელიც მისი ავტორის განმარტებით, ფსოუს მონაკვეთის გავლით რუსეთის ფედერაციიდან შემოდის ოკუპირებულ აფხაზეთში. https://www.myvideo.ge/v/3916278

## # 1 გზავნილი

### რესპუბლიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არჩევნები და პოლიტიკური პროცესებია

მაშინ, როდესაც მსოფლიოში მთავარი თემა COVID-19 იყო - იწერებოდა ათასობით ჟურნალისტური ნამუშევარი იმაზე, თუ რას წარმოადგენს ვირუსი და როგორ დავიცვათ თავი მისგან, აფხაზეთში მარტის ბოლომდე მთავარი აქცენტი მაინც ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებზე გაკეთდა. მხოლოდ არჩევნების შემდეგ, გაჩნდა დისკუსია იმის შესახებ, რომ სხვადასხვა თავყრილობები და აქტივობები, ქმნიდა ვირუსის გავრცელების მაღალ რისკს. მარტის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, აფხაზეთში კორონავირუსით ინფიცირების პირველ შემთხვევაზე, რასაც გალის რაიონის ჩაკეტვა და სოციალურ ქსელებში ინფიცირებული ადამიანის მიმართ დისკრიმინაციული კომენტარების ტალღა მოჰყვა. აღნიშნული საკითხი, როგორც მნიშვნელოვანი ტენდენცია და გზავნილი აპრილის თვის დასაწყისში გამოიკვეთა. შესაბამისად, კვლევის მარტის თვის პერიოდში მისი შეფასებისგან თავს ვიკავებთ.

საპროტესტო აქცია აფხაზეთში, კადრი Apsua.tv-ის სიუჟეტიდან[33]

მორიგი საპროტესტო აქცია აფხაზეთში. მოშიმშილეები კორუფციასთან ბრძოლისთვის, ითხოვენ შემოსავლების დეკლარირების კანონში ცვლილებებს. კადრი Apsua.tv-ის სიუჟეტიდან.[34]




„ახალ პრეზიდენტს“ გამარჯვებას ულოცავენ. Gal.tv სპუტნიკის აფხაზეთის ბიუროს მასალის გაზიარებით, ეხმაურება ე.წ საპრეზიდენტო არჩევნებს.

33 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,03.03.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17558

34 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,11.03.2020, http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17595

#2 გზავნილი

**რუსეთის ფედერაციის დაწესებული შეზღუდვები, ობიექტური რელობითაა განპირობებული**

საინფორმაციო პლატფორმებმა კრიტიკული აქცენტების და კითხვების გარეშე გააშუქეს რუსეთის ფედერაციის მიერ, როგორც საზღვრის ჩაკეტვის, ასევე სამედიცინო ნაწარმის ქვეყნიდან გატანის აკრძალვის გადაწყვეტილებები. ამის ნაცვლად, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ რესპუბლიკამ დახმარებისთვის მიმართა რუსეთის ფედერაციას და აღნიშნული საკითხი განიხილება. ჩვენი მონიტორინგის ობიექტი საინფორმაციო პლატფორმების მიერ არ დაისვა კითხვები, რატომ შეეხო რუსეთის ფედერაციის აღნიშნული შეზღუდვა აფხაზეთს, მაშინ როდესაც რესპუბლიკა ითვლება რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორად? რატომ ვერ მიიღო აფხაზეთმა სამედიცინო ჰუმანიტარული დახმარება რუსეთის ფედერაციისგან?




პანდემიასთან დაკავშირებით, სარკინიგზო მიმართულებამ სოხუმი-მოსკოვი მუშაობა შეწყვიტა. მგზავრებს ბილეთებს უბრუნებენ. კადრი Apusua.tv-ის სიუჟეტიდან. [35]

რუსეთის ფედერაციის „საელჩოს“ განცხადებას აზიარებს GAL TV. განცახდების თანახმად 22 მარტიდან 1 მაისის ჩათვლით რუსეთის ფედერაციაში შესვლა ეკრძალებათ უცხო ქვეყნის და მათ შორის „აფხაზეთის მოქალაქეებს.“

35 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,19.03.2020,http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17650

### #3 გზავნილი

**რუსეთის ფედერაციისგან აფხაზეთს საფრთხე არ ემუქრება - საზღვარი ფსოუზე კონტროლდება**

მიუხედავად იმისა, რომ მარტში ახალი კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი რუსეთის ფედერაციაში ყოველდღიურად იზრდებოდა, ეს საკითხი არ გაშუქებულა ფედერაციის კონტროლირებადი საინფორმაციო პლატფორმებით. შესაძლოა ამ გარმოებამაც და პოლიტიკურმა ასპექტებმა განაპირობა, რომ აფხაზეთში საინფორმაციო პლატფორმებმა განგაშის ზარები ვერ შემოკრეს რუსეთთან საზღვარის ჩაკეტვის საჭიროებაზე. შესაბამისად, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ფსოუს მონაკვეთი ეფექტურად კონტროლდება და ამისთვის საკონტროლო პუნქტთან განათავსეს თერმოსკრინინგის დისტანციური-ლაზერული აპარატი.

გაურკვეველი დარჩა აღნიშნული სამედიცინო ხელსაწყო, რომელმა ორგანიზაციამ გადასცა აფხაზეთის ე.წ ჯანდაცვის სამინისტროს. თუ სხვა შემთხვებში მითითებული იყო სამედიცინო ტვირთის გამომგზავნი, იქნებოდა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია, აფხაზების დიასპორა მოსკოვში, თუ ადგილობრივი მეწარმეები - ამ კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით, საკითხი გაურკვეველი დარჩა.

რეპორტაჟი ფსოუს საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან. ჟურნალისტი ამბობს, რომ სწორედ თერმოსკრინინგის „ლაზერული აპარატით“ ხდება შემომსვლელების შემოწმება. ამბობს, რომ ტემპერატურის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უკან აბრუნებენ, ხოლო აფხაზეთის მოქალაქეები სამედიცინო დაწესებულებებში გადაჰყავთ.[36]

მოძრავი სამედიცინო პუნქტი, რომელიც ფსოუს საზღვართან მორიგეობს.[37]



ფსოუს საკონტროლ-გამშვები პუნქტი, შემოსვლის უფლება მხოლოდ აფხაზეთის და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ. საინფორმაციო პლატფორმა არ სვამს კრიტიკულ კითხვებს, მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტის ეთერში გასვლის დროს, რუსეთის ფედერაციაში კორონავირუსით ინფიცირებულთა რიცხვი 700-ს სცდება. [საერთაშორისო მედია წერს, რომ დაინფიცირების ზუსტ სტატისტიკას რუსეთის ხელისუფლება მალავს.] [38]

36 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,20.03.2020,http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17654

37 იგივე წყარო

38 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,27.03.2020,http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17680

წყარო: სპუტნიკ აფხაზეთი.[39]

### #4 გზავნილი

### აფხაზეთს საერთაშორისო ორგანიზაციები ეხმარებიან

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, სამოქალაქო სექტორი, პოლიტიკური პარტიები და სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები, საუბრობენ აფხაზეთში გაგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებებზე - მსგავსი ინფორმაცია, საინფორმაციო პლატფორმებზე არ გაჟღერებულა.

დროის მოცემულ პერიოდში წერდნენ მხოლოდ საერთაშორისო ორაგნიზაციების მიერ აღმოჩენილ დახმარებაზე. ასევე, ადგილობრივი მეწარმეების და დიასპორის გამოგზავნილ ჰუმანიტარულ ტვირთზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, მუშაობის შესაძლებლობა მისცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩავიდა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიღეს. ისაუბრეს არსებულ მდგომარეობაზე. ითქვა, რომ ორი დღის განმავლობაში, შეისწავლიან აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებში არსებულ ვითარებას.[40]



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მეორე შეხვედრა დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. სიუჟეტში ჩანს, რომ ორგანიზაციის წარმომადგენელი აანალიზებს ორ დღიან მუშაობას აფხაზეთში - გასცემს რეკომენდაციებს. მცირე კომენტარით, რომელიც სიუჟეტში გაჟღერდა ვიგებთ, რომ ექსპერტების ერთ-ერთი შეფასებით, აფხაზეთში ჯანდაცვის სერვისები არის სხვადასხვა რეგიონში გაფანტული და საჭიროა მათი სისტემატიზაცია.[41]

39 სპუტნიკ აფხაზეთი, 20.03.2020. https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200320/1029689270/Povysili-gradus-na-rossiysko-abkhazskoy-granitse-voznikla-ochered-iz-za-teplovizora.html

40 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,18.03.2020,http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17643

41 საინფორმაციო პროგრამა Амшеикушара,20.03.2020,http://www.apsua.tv/newsdetail/?ID=17654




საუბარია აფხაზეთის ე.წ ჯანდაცვის სამინისტროსთვის გადაცემულ სამედიცინო ხასიათის ჰუმანიტარულ ტვირთზე. სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს, რომ აფხაზეთმა დახმარებისთვის რუსეთის ფედერაციასაც მიმართა.[42]

**#5 გზავნილი**

**გალის რაიონი წარმოადგენს კორონავირუსის გავრცელების მთავარ საფრთხეს**

მარტის თვეშიც, აქტიურად ხდებოდა გალის რაიონის ასოცირება საფრთხესთან. დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ გალის რაიონში, კონტროლის გამკაცრების საჭიროებაზე. მათი დაწესებული შეზღუდვები არ გამხდარა საინფორმაციო პლატფორმების კრიტიკული კითხვების საგანი. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სოციალური ქსელებით გავრცებული კომენტარებით ვიგებთ, ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა კრიტიკული განწყობები და დაუცველობის განცდა.

გალელების მიმართ ნეგატიური განწყობების გაძლიერება, მარტის ბოლოს, COVID-19-ით გალში მცხოვრები მოქალაქის ინფიცირებასაც მოჰყვა. ცალკე აღნიშნვის ღირსია ის, რომ მედია არ აკეთებდა თავდაპირველად აქცენტს იმაზე, რომ მოქალაქეს ე.წ აფხაზური პასპორტი ჰქონდადა მოსკოვიდან ჩამოვიდა. ეს შემთხვევა, როგორც უკვე მომდევნო კვირებში ვნახეთ, აფხაზურმა დე ფაქტო რეჟიმმა არ ჩათვალა - აფხაზეთში კორონავირუსის გამოვლენის პირველ ფაქტად. ასევე გალელი, ეთნიკურად ქართველი პაციენტის პერსონალური მონაცემები გამოაქვეყნეს, როგორც მედიის ასევე დე ფაქტო უწყებების წარმომადგენლებმა. ამ თემაზე, საინფორმაციო პლატფორმებმა, მასალების ციკლი უკვე ივლისის თვეს მოამზადეს.

კორონავირუსის პირველ შემთხვევას აფხაზეთში, გალის რაიონის ჩაკეტვა მოჰყვა, რასაც ახლდა მოსახლეობის შიში და დაუცველობის განცდა. ადამიანები სოციალური ქსელებში წერდნენ, რომ არსად აქვთ გასაქცევი - ვერც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავლენ და ვერც აფხაზეთის დაბალი ხარისხის ჯანდაცვას ენდობიან. სამწუხაროდ,მოქალაქეების ეს პრობლემა საინფორმაციო პლატფორმებმა არ გააშუქეს. საინფორმაციო სივრცე დაუთმეს მხოლოდ გალის რაიონის ჩაკეტვას და გატარებულ ამკრძალავ სხვა ზომებს.

42 იგივე წყარო

სათაური: „იძულებითი ღონისძიება - გალის რაიონში კომენდატიის საათი დააწესეს“[43]




ჩაკეტეს საავტომობილო მოძრაობა გალსა და ოჩამჩირეს შორის.[44]




გამოაქვეყნეს გალის რაიონში მცხოვრები, COVID-19-ით ინფიცირებული ქალის პერსონალურ მონაცემებს. აცხადებენ, რომ მისი დოკუმენტები არ არის მოქმედი და ის არ ითვლება აფხაზეთის მოქალაქედ. [ინფორმაციისთვის: აღნიშნული პირი, 28 მარტს, მოსკოვიდან ჩამოვიდა აფხაზეთში. მალევე თავი შეუძლოდ იგრძნო და მიმართა გალის რაიონის საბერიოს სამედიცინო დაწესებულებას, საიდანაც მისი ზუგდიდში გადმოყვანა მოხერხდა].[45]

სპუტნიკ აფხაზეთი, კორონავირუსით დაავადებული ქალის პერსონალურ მონაცემებს აქვეყნებს.[46]

გალში სამი საკონტროლო-გამშვები პუნქტი შეიქმნა. მძღოლებს ტემპერატურას შეუმოწმებენ.[47]

Gal tv - გალის რაიონის ოჩამჩირესთან დამაკავშირებელი „არხის“ ჩაკეტვას, სოციალურ ქსელში, აღნიშნული პოსტით ეხმაურება. წერს, რომ რაიონში სიმშვიდეა. პოსტს ახლდა კომენტარები, სადაც მოქალაქეები რაიონის ჩაკეტვას მოსახეობისთვის საფრთხის შემცველად აფასებდნენ და შიშობდნენ, რომ დახმარების საჭიროების შემთხვევაში, გალელებს არავინ დაეხმარებათ. [ინფორმაციისთვის: Gal tv -ის პოსტებზე კომენტარები იწერება ქართულ, მეგრულ და რუსულ ენებზე.]

## #6 გზავნილი

### საქართველოს მხრიდან დახმარების შემოთავაზება პოპულიზმია

მაშინ, როდესაც მარტის ბოლოდან აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოს სამთავრობო, სამოქალაქო სექტორმა, სამედიცინო საზოგადოებამ და კერძო

43 სპუტნიკ აფხაზეთი, 28.03.2020, https://sputnik-abkhazia.ru/coronavirus/20200328/1029773855/Vynuzhdennaya-mera-komendantskiy-chas-vveli-v-Galskom-rayone.html

44 სპუტნიკ აფხაზეთი, 30.03.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200330/1029789905/MVD-perekrylo-dvizhenie-mezhdu-Galskim-i-Ochamchyrskim-rayonami.html

45 სპუტნიკ აფხაზეთი, 31.03.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200331/1029794511/MVD-zarazhennaya-koronavirusom-zhenschina-ne-yavlyaetsya-grazhdankoy-Abkhazii.html

46 სპუტნიკ აფხაზეთი, 31.03.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200331/1029798078/Shtab-po-koronavirusu-v-Abkhazii-Nino-Khetsuriani-nakhoditsya-v-stabilnom-sostoyanii.html

47 სპუტნიკ აფხაზეთი,30.03.2020 https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20200330/1029786365/Brigady-medikov-budut-dezhurit-na-neskolkikh-postakh-GAI-Abkhazii-.html

პირებმა, აფხაზეთში მცხოვრებთათვის, COVID-19-თან საბრძოლველად, სხვადასხვა გზებით, გაწეულ დახმარებაზე - მსგავსი ინფორმაცია, მონიტორინგის ობიექტ პლატფორმებზე, არ გაჟღერებულა. პირიქით, საინფორმაციო პლატფორმები მოიცვა საქართველოს ხელისუფლების მიმართ ბრალდებებმა. დე ფაქტო რეჟიმმა პოპულიზმი უწოდა დახმარების ყველა შეთავაზებას.

აფხაზეთში, მსაგავს გზავნილებს ძირითადად რუსეთის ფედერაციასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირები, დუმის დეპუტატები და დე ფაქტო რეჟიმის აგრესიული-პრორუსული განწყობის პირები ავრცელებდნენ.

აფხაზეთის ე.წ საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ აფხაზეთს არაფერი უთხოვია საქართველოსთვის. დასძენს, რომ მათ დახმარების თხოვნით პირველ რიგში რუსეთის ფედერაციას მიმართეს და ქართველი მაღალჩინოსნების განცხადებები, რომ მზად არიან დაეხმარონ მათ, არის პოპულისტური სპეკულაციები.[48]




დუმის დეპუტატი კონსტანტინ ზატული აცხადებს, რომ რუსეთის ფედერაცია უნდა დაეხმაროს საჭიროების შემთხვევაში აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, რადგან მათ რუსეთის გარდა მხარდამჭერი არავინ ჰყავთ. წერს, რომ ქართული მხარე, სამედიცინო შეთავაზებებით, ცდილობს ადგილობრივების გულის მოგებას და ამისგან დასკვნებია გამოსატანი.[49]

**[აპრილი]**

აფხაზეთის საინფორმაციო პლატფორმებმა, კორონავირუსით დაინფიცირებულ გალში მცხოვრებ მოქალაქეზე მასალები პერსონალური ინფორმაციის თანხლებით გაავრცელეს. აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ინფიცირებული გალელია და არა იმაზე, რომ რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა. მოგვიანებით კი ვნახავთ, რომ ადგილობრივმა საინფორმაციო პლატფორმებმა, აღნიშნული შემთხვევა არ ჩათვალეს აფხაზეთში COVID-19-ით ინფიცირების პირველ ფაქტად და „პირველის სტატუსი“ გაგრაში ინფიცირებულ მოქალაქეს მიანიჭეს. ცნობისთვის, აღნიშნული პირიც აფხაზეთში რუსეთის ფედერაციიდან შემოვიდა.

